# საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

| | პრიორიტეტული ღონისძიება | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი ორგანიზაცია | საპროგნოზო ბიუჯეტი (000" ლარი) | | | დაფინანსების წყარო | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2018 | 2019 | 2020 | | |
| | 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა | | | | | | | | | |
| 1.1 | **ამოცანა 1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.** | 1.1.1 შეღავათიანი აგროკრედიტი | *** 2018 წელს** დაფინანსდება 70 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება. გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება.<br>*** 2019 წელს** გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება.<br>*** 2020 წელს** გაგრძელდება გაცემული სესხების თანადაფინანსება. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; | | 45,000.0 | 44,000.0 | 42,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.2 ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამა | *** 2018 წელს** დაფინანსდება 100 ახალგაზრდა მეწარმე<br>*** 2019 წელს დ**აფინანსდება 150 ახალგაზრდა მეწარმე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; | | 3,000.0 | 6,500.0 | 0.0 | დონორი | |
| | | 1.1.3 დანერგე მომავალი | *** 2018 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება 1 200 ჰა ახალი ბაღი.<br>*** 2019 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება დამატებით 960 ჰა ახალი ბაღი.<br>*** 2020 წელს** გაშენდება/ დაკონტრაქტდება დამატებით 960 ჰა ახალი ბაღი | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; | | 8,000.0 | 7,000.0 | 7,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.4 შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება | **2018 წელს:**<br>***** დასრულდება 8 გადამამუშავებელი საწარმოს და 8 შემნახველი საწარმოს შექმნა (ჯამური ტევადობით 6 000-7 000 ტონა)<br>* არანაკლებ 12 საწარმოში დაინერგება HACCP/ISO 22000 სტანდარტები.<br>* საწარმოებში დასაქმდება (სეზონურის ჩათვლით) 1 600-ზე მეტი ადამიანი. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; | | 5,000.0 | 0.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.5 მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა | *** 2018 წელს** 15-მდე კოოპერატივს გადაეცემა სატრანსპორტო მისაბმელი სკების გადაადგილებისათვის.<br>*** 2019 წელს** 7 კოოპერატივს გადაეცემა სატრანსპორყო მისაბმელი სკების გადაადგილებისათვის, 25 კოოპერატივს გადაეცემა 750 სკა,5 საწური, 5 ფიჭის ასათლელი დანა.<br>*** 2020 წელს** 25 კოოპერატივს გადაეცემა 750 სკა, 5 საწური, 5 ფიჭის ასათლელი დანა. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო | | 200.0 | 200.0 | 100.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.6 კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია | ***2018 წელს** მოეწყობა **2** ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა<br>***2019 წელს** მოეწყობა **3** ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა<br>***2020 წელს** მოეწყობა **3** ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო | | 210.0 | 1,050.0 | 1,150.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება | * 2018 წელს **გადამამუშავებელი** დანადგარებით აღიჭურვება **15** კოოპერატივი. აშენდება თაფლის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც გადაეცემა არანაკლებ 35 კოოპერატივს მიერ დაფუძნებულ კოოპერატივს.<br>* 2019 წელს **გადამამუშავებელი** დანადგარებით აღიჭურვება **30** კოოპერატივი.<br>* 2020 წელს **გადამამუშავებელი** დანადგარებით აღიჭურვება **25** კოოპერატივი<br>* ჯამში **105** კოოპერატივში დაინერგება თანამედროვე ტიპის წარმოების მეთოდიკა და ერთიანი საწარმოო ციკლი. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო | | 5,000.0 | 5,500.0 | 4,500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.8 კოოპერატივების მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრეინინგი | * 2018 წელს კოოპერატივების **არანაკლებ 350** მეპაიეს ჩაუტარდება ტრეინინგი დარგობრივი და მენეჯმენტის მიმართულებებით.<br>* 2019 წელს კოოპერატივის **არანაკლებ 650** მეპაიეს ჩაუტარდება ტრეინინგი დარგობრივი და მენეჯმენტის მიმართულებებით.<br>* 2020 წელს კოოპერატივის **არანაკლებ 1000** მეპაიეს ჩაუტარდება ტრეინინგი დარგობრივი და მენეჯმენტის მიმართულებებით. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო | | 200.0 | 500.0 | 700.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.1.9 მაღალმთიანი რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენება | *** 2018 წელს** უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში **არსებული კოოპერატივისათვის** აშენდება და ტექნიკით აღიჭურვება რძის გადამამუშავებელი საწარმო. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო | | 1,000.0 | 0.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.1.10 სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომა და მდგრადობა | * 2018 წელს გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 1350 ჰექტარზე; ჩატარდება მიწის აღდგენითი სამუშაოები 2 ობიექტზე; გაიცემა 40 გრანტი კერძო პირებისათვის და 8 გრანტი აგრობიზნესისათვის; მოეწყობა 3 სადემონსტრაციო ნაკვეთი, გადამზადდება 300 ფერმერი.<br>* 2019 წელს გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება 1350 ჰექტარზე; ჩატარდება მიწის აღდგენითი სამუშაოები 1 ობიექტზე; გაიცემა 40 გრანტი კერძო პირებისათვის და 8 გრანტი აგრობიზნესისათვის. | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | IFAD | 18,675.0 | 2,825.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | ამ აქტივობაში არ არის ცალკე გამოყოფილი, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-ს მიერ განხორციელბული "სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტის საგრანტო კომპონენტი (GEF, IFAD)", რომელიც 2018 წელს, დონორების მხრიდან დაფინანსდება 5 000 000 ლარით (შედის 18 675 000 ლარში ) , ხოლო 2019 და 2020 წლების ბოჯეტი ამ დროისთვის განსაზღვრულია როგორც 0 ლარი. |
| | | 1.1.11 სამელიორაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია | * 2018 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 8.5 ათასი ჰექტარით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 7.1 ათას ჰა-ზე. განხორციელდება 0.5 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა<br>* 2019 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 2 ათასი ჰექტარით. სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 17.3 ათას ჰა-ზე. განხორციელდება 2.5 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა<br>* 2020 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 7 ათასი ჰექტარით. სარწყავ მიწის წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 5 ათასი ჰა-ზე. მიწის ფართობების დაშრობა განხორციელდება 2 ათას ჰა-ზე. მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება განხორციელდება 6.3 ათას ჰა-ზე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ | | 0.0 | 41,950.0 | 42,930.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები | 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის ბიუჯეტში |
| | | 1.1.12 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | *** 2018 წელს** დასრულდება სამი მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია, შედეგად გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა - 20 000 ჰა-ზე;<br>*** 2019 წელს** დასრულდება სამი მაგისტრალური არხის შიდა ქსელების დეტალური პროექტირება | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | მსოფლიო ბანკი | 20,566.0 | 5,060.0 | 0.0 | მსოფლიო ბანკი | |
| | | 1.1.13 ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა | * **2018-2019** წლებში განხორციელდება 7 კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; | | 900.0 | 0.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| **1.2** | **ამოცანა2. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთნ დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით** | 1.2.1 მეწარმეობის განვითარება | * 2018 -2020 წლებში რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარი კომპანიების კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების მიმართულებით ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 8 ახალ ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტს. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში | | 1,800.0 | 1,800.0 | 1,800.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | ვინაიდან, სსიპ "აწარმოე საქართველოში" - სააგენტოს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების ბიუჯეტები არ არის გამიჯნული რეგიონებად და ქალაქებად, საპროგნოზო ბიუჯეტები და ბენეფიციართა რაოდენობა დათვლილია 2016 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით რეგიონებსა და ქალაქებში განხორციელებული პროექტების წილობრივი თანაფარდობის საფუძველზე. აღნიშნული საპროგნოზო ბიუჯეტების გაანგარიშების მიზნებისთვის სოფლად მიჩნეულია ყველა დასახლებული პუნქტი 5 თვითმმართველი ქალაქის გარდა. ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების დაკორექტირება, რადგან 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაძლებელია დამატებით გამოიყოს სახსრები მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის. |
| **1.3** | **ამოცანა 3. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.** | 1.3.1 ტურიზმის განვითარება | * 2018-2020 წლებში რეგიონებში სახელმწიფო პოგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 5 ახალ ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების პროექტს. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში | | 1,200.0 | 1,200.0 | 1,200.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | ვინაიდან, სსიპ "აწარმოე საქართველოში" -სააგენტოს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების ბიუჯეტები არ არის გამიჯნული რეგიონებად და ქალაქებად, საპროგნოზო ბიუჯეტები და ბენეფიციართა რაოდენობა დათვლილია 2016 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით რეგიონებსა და ქალაქებში განხორციელებული პროექტების წილობრივი თანაფარდობის საფუძველზე. აღნიშნული საპროგნოზო ბიუჯეტების გაანგარიშების მიზნებისთვის სოფლად მიჩნეულია ყველა დასახლებული პუნქტი 5 თვითმმართველი ქალაქის გარდა. ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების დაკორექტირება, რადგან 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაძლებელია დამატებით გამოიყოს სახსრები მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის. |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.3.2 ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა | *** 2018-2020 წლებში** დამატებით 3 ტურისტული პროდუქტი, დამატებით 2 ინფრასტრუქტურული პროექტი (ყოველ წელს); 2018-2020 წლებში, წლიურად გადამზადებული იქნება 600 ტრენინგის მონაწილე; | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | | 600.0 | 600.0 | 600.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | ცდომილება მაქსიმუმ შეიძლება იყოს 15%-იანი ალბათობით. რაც შეეხება ქალაქებსა და სოფლებზე გადანაწილებას ვერანაირად ვერ დაიყოფა ვინაიდან არც ერთი პროექტი არაა განსაზღვრული ინდივიდუალური ადგილისთვის. მაგ: სამთო-საფეხმავლო ბილიკები მოიცავს არაერთ სოფლის მთას და მათ შორის შეიძლება იყოს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებიც. ასევე პროექტი ,, ღვინის გზა "- ობიექტები მთელი ქვეყნის მასშტაბითაა და მათ შორის, შეიძლება იყოს გარკვეული მარნები ქალაქის ტერიტორიაზეც. ვერ გამოიყოფა მათ შორის, რამდენი იქნება მომავალში ისეთი საწარმო, რომელიც ქალაქს იქნება მიკუთვნებული. ძირითადად ამ ტიპის ობიექტები სოფლად გვხვდება. |
| | | 1.3.3 რეგიონებში კულტურის მხარდაჭერა | *** ყოველწლიურად** რეგიონებში კულტურის სფეროში განხორციელდება 15 პროექტი და კულტურული ღონისძიებები ჩატარდება 30 მუნიციპალიტეტში | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 1,517.0 | 1,517.0 | 1,517.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.3.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა | * რეგიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტირებული და რეაბილიტაციის პროცესში მყოფი ძეგლების **ყოველწლიური** მაჩვენებელი 40. | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო/კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო | | 3,101.0 | 3,101.0 | 3,101.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 1.3.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა | * **ყოველწლიურად** განხორციელდება რეგიონებში სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 13 სსიპ-ის ( მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალების, სახლ-მუზეუმების) დაფინანსება | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 983.0 | 983.0 | 983.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | **სულ ბიუჯეტი პრიორ. 1** | | | | | **116,952.0** | **123,786.0** | **107,581.0** | **სულ 2018-2020** | **348,319.0** |
| | **სოციალური პირობები და ცხოვრების დონე** | | | | | | | | | |
| **2.1** | **ამოცანა 1. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).** | 2.1.1. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირება და განვითარება (IBRD) | * 2018 წელს გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 1200 ვაუჩერი შინამეურნეობებისთვის ბ) ინტერნეტში ჩართვის 250 ვაუჩერი მეწარმეებისთვის.<br>* 2019 წელს გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 1200 ვაუჩერი შინამეურნეობებისთვის ბ) ინტერნეტში ჩართვის 250 ვაუჩერი მეწარმეებისთვის.<br>* 2020 წელს გაიცემა: ა) ინტერნეტში ჩართვის 1200 ვაუჩერი შინამეურნეობებისთვის, ბ) ინტერნეტში ჩართვის 250 ვაუჩერი მეწარმეებისთვის. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 230.0 | 230.0 | 230.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი IBRD | მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების მხრივ ცდომილების ალბათობა განისაზღვრება 5 %-ით. (სათანადო ინტერნეტ ინფრასტრუქტურის, მოთხოვნის და კვალიფიკაციის (პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა) არ არსებობა). |
| | | | * 2018 წელს გადამზადდება: ა) ციფრულ წიგნიერებასა და პროგრამირების ენებში 1600 ბენეფიციარი ბ) ელექტრონულ წიგნიერებაში 300 მეწარმე.<br>* 2019 წელს გადამზადდება: ა) ციფრულ წიგნიერებასა და პროგრამირების ენებში 1600 ბენეფიციარი ბ) ელექტრონულ წიგნიერებაში 300 მეწარმე.<br>* 2020 წელს გადამზადდება: ა) ციფრულ წიგნიერებასა დაპროგრამირების ენებში 1600 ბენეფიციარი ბ) ელექტრონულ წიგნიერებაში 300 მეწარმე. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 320.0 | 320.0 | 320.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი IBRD | მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების მხრივ ცდომილების ალბათობა განისაზღვრება 5 %-ით. (მოთხოვნის და კვალიფიკაციის (პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა) არ არსებობა).<br>**განმარტება:**<br>***ციფრული წიგნიერება:*** ინტერნეტი, კომპიუტერი, საოფისე პროგრამები.<br>***ელექტრონული წიგნიერება:*** ელექტრონული კომერცია, ელექტრონულლი ბიზნესი, ელექტრონული მმართველობა |
| | | | *** 2018 წელი -** შეიქმნება და აღიჭურვება 2 ინოვაციების ცენტრი და 1 ინოვაციების ჰაბი<br>*** 2019 წელი -** შეიქმნება და აღიჭურვება 2 ინოვაციების ცენტრი და 1 ინოვაციების ჰაბი<br>*** 2020 წელი -** შეიქმნება და აღიჭურვება 1 ინოვაციების ცენტრი და 1 ინოვაციების ჰაბი | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | | 1,500.0 | 1,500.0 | 1,200.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი IBRD | მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების მხრივ ცდომილების ალბათობა განისაზღვრება 10 %-ით. (სათანადო ინფრასტრუქტურის/შესაფერისი შენობების არ არსებობა). |
| | | 2.1.2 პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება | *** 2018 წელს** ჩატარდება ტრენინგები "მეწარმეობის უნარების განვითარება" პილოტირება: პილოტირებაში მონაწილეობას მიიღებს საჯარო პროფესიული სასწავლებლების მინიმუმ 50 მასწავებელი და 5 დირექტორი;<br>*** 2019 წელს** "მეწარმეობის უნარების განვითარება"- ში დატრეინინგდება საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების მინიმუმ 10%-ი და დირექტორეების 30%-ი<br>*** 2020 წელს** "მეწარმეობის უნარების განვითარება" -ში დატრეინინგდება პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების 30% და დირექტორების 50%. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 5.0 | 9.0 | 11.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.3 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა | *** 2018 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით<br><br>*** 2019 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით .<br><br>*** 2020 წელს** პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ (სოფლად მცხოვრებ) სტუდენტთა რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 2%-ით. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 4,278.6 | 4,364.0 | 4,451.4 | სახელმწიფო ბიუჯეტი | შენიშვნა:2018 წლისთვის საბაზისო მაჩვენებელი იქნება 2016 წელი - 4754 პროფესიული სტუდენტი (გარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და რუსთავის პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტებისა), ვინაიდან 2017 წლის სრული მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.1.4 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება | *** 2018 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლებს 3300 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 300 პოტენციური მსმენელი.<br>*** 2019 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლებს 3400 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 350 პოტენციური მსმენელი.<br>*** 2020 წელს** სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლებს 3500 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი; საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 400 პოტენციური მსმენელი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 2,300.0 | 3,100.0 | 3,150.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.5 სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება | * **ყოველწლიურად** რეგიონებში გადამზადდება მინიმუმ 200-350 ბენეფიციარი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო | | 2,090.0 | 2,090.0 | 2,090.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.6 ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება | *** 2018 წელს** სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობებში ჩაერთვება 10 000 ახალგაზრდა<br>*** 2019 წელს** სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობებში ჩაერთვება 12 000 ახალგაზრდა<br>*** 2020 წელს** სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ აქტივობებში ჩაერთვება 14 000 ახალგაზრდა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 500.0 | 600.0 | 700.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.7 ანაკლიის „მომავლის ბანაკი" და „შაორის ბანაკი" | *** 2018 წელს** შემეცნებით-რეკრეაციულ ბანაკებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს 2500 ბენეფიციარი<br>*** 2019 წელს** შემეცნებით-რეკრეაციულ ბანაკებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს 3000 ბენეფიციარი<br>*** 2020 წელს** შემეცნებით-რეკრეაციულ ბანაკებში საქართველოს რეგიონებიდან მონაწილეობას მიიღებს 3000 ბენეფიციარი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 1,000.0 | 1,200.0 | 1,400.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.8 ხელოვნების განვითარების ღონისძიებები | * **ყოველწლიურად** კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, რეგიონებში მდებარე 11 სახელოვნებო სსიპ ფინანსდება 11 სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო თანხით. | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 110.0 | 110.0 | 110.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | | *** ყოველწლიურად** კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული რეგიონებში მდებარე სახელოვნებო 11 სსიპ-ის ფუნქციონირების ყოველწლიური დაფინანსება : პერსონალის (მათ შორის მსახიობებისა და ტექნიკური პერსონალის) ხელფასები და თითოეულ თეატრში 4 პრემიერის სადადგმო ხარჯი. | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 4,138.0 | 4,138.0 | 4,138.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.1.9 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | * **ყოველწლიურად** რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 2 სსიპ-ის ფუნქციონირების ყოველწლიური დაფინანსებით | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 480.0 | 480.0 | 480.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | **ამოცანა 2: ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.** | 2.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება | * ყოველწლიურად განხორციელდება მინიმუმ 350 საჯარო სკოლის აღჭურვა და სხვადასხვა სახის სარებილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული რაოდენობიდან (350), განხორციელდება 6-მდე დიდკონტიგენტიანი (60 ბავშვზე მეტის ) ახალი სკოლის მშენებლობა.<br>გარდა ამისა, **2018** წელს განხორციელდება სავარაუდო 7 (60 ბავშვიანი) და 16 (20 ბავშვიანი) მცირეკონტინგენტიანი სკოლების | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 59,440.0 | 59,440.0 | 59,440.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | **შენიშვნა**:დამატებითი გეოგრაფიული შესწავლის შედეგად 2019-2020 წლებისთვის განისაზღვრება ასაშენებელი მცირეკონტიგენტიანი სკოლების რაოდენობა. |
| | | 2.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება | **2018 წელს** სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში დაწყებულია სამუშაოები ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების მიზნით.<br><br>**2019 წელს** სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განვითარებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (რეაბილიტაცია, აღჭურვა)<br><br>**2020 წელს** სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განვითარებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (რეაბილიტაცია, აღჭურვა) | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა | * **ყოველწლიურად** პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 20,100.0 | 20,100.0 | 20,100.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა | * **ყოველწლიურად** განხორციელდება 80 საჯარო სკოლის უსადენო (Wi-Fi) ქსელის მოწყობა. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.5 მოსწავლეთათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა; | *** ყოველწლიურად** ფუნქციონირებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი და სამეგრელო | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 534.0 | 534.0 | 534.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2.6 მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ტიპის ბანაკების შეთავაზება | *** ყოველწლიურად** სოფლის საჯარო სკოლების არანაკლებ 9 000 მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის შესაძლებლობით | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 2,800.0 | 3,000.0 | 3,200.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.7 საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა | *** ყოველწლიურად** მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო გარემოს შექმნისა და საჯარო სკოლების გაძლიერების მიზნით, ჩატარდება „თავისუფალი გაკვეთილები", რომელშიც ჩაერთვება არანაკლებ 20 000 მოსწავლე (სოფლის სკოლებიდან). | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | | 900.0 | 1,200.0 | 1,300.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.8 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების გაუმჯობესება | *** 2018 წელს** დამატებით 20 000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.<br>*** 2019 წელს** დამატებით 13 000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.<br>*** 2020 წელს** დამატებით 12 000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | 0.0 | 30,000.0 | 30,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის ბიუჯეტში |
| 2.2.9 მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთა ხელმისაწვდომობის ზრდა ბუნებრივი გაზის მოხმარებაზე | * **ყოველწლიურად** ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრებ 5 700 აბონენტს აუნაზღაურდება მიწოდებული ბუნებრივი გაზის ღირებულება | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | 8,000.0 | 8,000.0 | 8,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.10 საქართველოს რეგიონებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი | *** 2018 წელს** გარე სავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდება 10 მუნიციპალიტეტში<br>*** 2019 წელს** გარე სავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდება 15 მუნიციპალიტეტში<br>*** 2020 წელს** გარე სავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდება 15 მუნიციპალიტეტში | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 150.0 | 220.0 | 220.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.11 სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება | *** 2018 წელს** რეგიონებში აშენდება 2 ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული დარბაზი.<br>*** 2019 წელს** რეგიონებში აშენდება 10 ფეხბურთისა და რაგბის მოედნები.<br>*** 2020 წელს** რეგიონებში აშენდება 15 ფეხბურთისა და რაგბის მოედნები. | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 20,000.0 | 10,000.0 | 15,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.12 მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარება | *** 2018 წელს** სახელმწიფო დახმარებას მიიღებს 400 ბენეფიციარი<br>*** 2019 წელს** სახელმწიფო დახმარებას მიიღებს 450 ბენეფიციარი<br>*** 2020 წელს** სახელმწიფო დახმარებას მიიღებს 500 ბენეფიციარი | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | 300.0 | 350.0 | 400.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.13 სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | * **ყოველწლიურად** 300 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე - დაიგება ან რეაბილიტირებული იქნება გზის საფარი | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 60,000.0 | 60,000.0 | 60,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | მითითებული შესრულების ინდიკატორები 2019-2020 წლებისთვის, შესაძლოა შეიცვალოს 2018 წლის შესრულების დინამიკის გათვალისწინებით. |
| 2.2.14 სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა | * **ყოველწლიურად** აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 70 საბავშვო ბაღი | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 10,000.0 | 10,000.0 | 10,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.15 სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია | * **ყოველწლიურად** აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 30 სპორტული და კულტურის ობიექტი | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 15,000.0 | 15,000.0 | 15,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.16 სოფლად წყალმოვარდნების, წყალდიდობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების პრევენცია და ლიკვიდაცია | * **ყოველწლიურად** მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნება 15 კმ სანიაღვრე არხი და სადრენაჟე სისტემა | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.17 სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | * **ყოველწლიურად** აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 600 კმ წყალმომარაგების სისტემა და 20 სათავე და გამწმენდი ნაგებობა | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი/ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | შესაბამისი მუნიციპალიტეტები; | 100,000.0 | 100,000.0 | 100,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.2.18 სოფლად გარე განათების მოწყობა | * **ყოველწლიურად** 20 კმ გზაზე გარე მოეწყობა გარე განათება | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 500.0 | 500.0 | 500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.2.19 სოფლად მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა/ რეაბილიტაცია | * **ყოველწლიურად** რეაბილიტირებული იქნება 40 მრავალბინიანი კორპუსი და მისი მიმდებარე ტერიტორია | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | შესაბამისი მუნიციპალიტეტები | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.20 იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა | * **ყოველწლიურად** 250 დევნილი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემა | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | | 5,000.0 | 5,000.0 | 5,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.21 ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა | * **ყოველწლიურად** 90 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფა | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | | 2,250.0 | 2,250.0 | 2,250.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.22 სოფლის ექიმი | * **2018 წელს** სოფლის ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 1.1-მდე<br>* **2019 წელს** სოფლის ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 1.2-მდე<br>* **2020 წელს** სოფლის ექიმთან ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 1.3-მდე | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო | | 26,000.0 | 26,000.0 | 26,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | საბაზისო მონაცემია 2016 წ.0.9 |
| | | 2.2.23 სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო სექტორის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მუნიციპალურ დონეზე | * **2018 წელს** მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა (მომსახურების სრული პაკეტით) გაეშვება 8 მუნიციპალიტეტში<br>* **2019 წელს** მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა (მომსახურების სრული პაკეტით) გაეშვება 8 მუნიციპალიტეტში | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ | ევროკავშირი | 793.0 | 791.0 | 0.0 | დონორი | |
| | | | * **2018 წელს** სრული დატვირთვით იფუნქციონირებს დამატებით 10 საზოგადოებრივი ცენტრი<br>* **2019 წელს** სრული დატვირთვით იფუნქციონირებს დამატებით 5 საზოგადოებრივი ცენტრი | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ | ევროკავშირი | 9,746.0 | 4,960.0 | 0.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორი | |
| | | 2.2.24 ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში იუსტიციის სახლების მშენებლობა და აღჭურვა | * **2018 წელს** აშენდება და აღიჭურვება 6 იუსტიციის სახლი (ახალქალაქი, ხონი; მარტვილი; სენაკი; ხაშური და ბოლნისი).<br>* **2019 წელს** აშენდება და აღიჭურვება 1 იუსტიციის სახლი (ახმეტა);<br>* **2020 წელს** აშენდება და აღიჭურვება 1 იუსტიციის სახლი (ლანჩხუთი). | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ „იუსტიციის სახლი“ | | 9,462.5 | 2,400.0 | 2,400.0 | სსიპ „იუსტიციის სახლის“ საკუთარი შემოსავლები/ სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 2.2.25 სანოტარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება არ იყო ხელმისაწვდომი | * **ყოველწლიურად** ნოტარიუსთა პალატა უზრუნველყოფს იმ დასახლებებში (მათ შორის მაღალმთიან დასახლებებში) განთავსებული ყველა სანოტარო ბიუროების ფუნქციონირების ხელშეწყობას, სადაც მანამდე არ იყო სანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ | | 100.0 | 100.0 | 100.0 | სსიპ-ნოტარიუსთა პალატის საკუთარი შემოსავლები | |
| | | 2.2.26 რეგიონული არქივის შენობის კაპიტალური შეკეთება, მშენებლობა და აღჭურვა | * **2018 წელს** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აშენდება და აღიჭურვება 1 არქივი (ახალციხე); ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 1 არქივი (ახალქალაქი).<br>* **2018-2019 წელს** შიდა ქართლის რეგიონში დასრულდება 1 არქივის მშენებლობა და აღჭურვა (გორი); ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 2 არქივი (კასპი, ხაშური). | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“/სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ | | 2,000.0 | 1,000.0 | | სსი „საქართველოს ეროვნული არქივის“ საბიუჯეტო სახსრები / საკუთარი შემოსავლები<br><br>სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საკუთარი შემოსავლები (სამცხე-ჯავახეთის არქივი) | |
| | | 2.2.27 დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა | * **ყოველწლიურად** უარყოფითი ბუნებრივი მატების რეგიონებში და ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით და გაცემა ხდება დროულად | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | | 24,000.0 | 33,000.0 | 33,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| 2.3 | **ამოცანა 3.** დგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში. | შეხვედრები საზოგადოებრივ ჯგუფებთან | **2018-2020 წლებში** სულ მცირე 8 საზოგადოებრივი ჯგუფებიდან მომდინარე ადგილობრივი განვითარების ინიციატივებიდან მოხდება ცოდნის/გამოცდილების გენერირება, რათა მოხდეს სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წლიური გადახედვისთვის ინფორმაციის გაზიარება და შემდგომი სოფლის განვითარების სტრატეგია შემუშავდეს უფრო მეტი ადგილობრივი ჩართულობით.<br>2018 წელს - 2 საზოგადოებრივი ჯგუფი; 2019 წელს - 3; 2020 წელს - 3; | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | UNDP | | | | დონორი, სახელმწიფო ბიუჯეტი | დაგეგმილია შეხვედრების დაფინანსება, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სულ ბიუჯეტი პრიორ. 2** | | | | | **403,027.1** | **420,986.0** | **419,724.4** | **სულ 2018-2020** | **1,243,737.5** |
| **გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა** | | | | | | | | | | |
| **3.1** | **ამოცანა 1. წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.** | 3.1.1 დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა | *** 2018 წელს**: სამ დაცულ ტერიტორიაზე განვითარდება დაცვის ინფრასტრუქტურა (ხერგილები); ერთი დაცული ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება სადემარკაციო საინფორმაციო ნიშნულებით; ორი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია აღიჭურვება საველე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით; ერთ დაცულ ტერიტორიაზე დაიწყება და დასრულდება ტყის ინვენტარიზაცია (დაახლოებით 20 000 ჰა).<br>*** 2019 წელს:** დამატებით სამ დაცულ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება დაცვის ინფრასტრუქტურა (ხერგილები); დამატებით ორი დაცული ტერიტორიის საზღვრები უზრუნველყოფილი იქნება სადემარკაციო საინფორმაციო ნიშნულებით; დამატებით ორი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია აღიჭურვება საველე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით; ერთ დაცულ ტერიტორიაზე დაიწყება ტყის ინვენტარიზაცია (დაახლობით 50 000 ჰა)<br>*** 2020 წელს:** დამატებით სამ დაცულ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება დაცვის ინფრასტრუქტურა (ხერგილები); დამატებით ოცდაათი დაცული ტერიტორიის (ბუნების ძეგლები) საზღვრები უზრუნველყოფილი იქნება სადემარკაციო საინფორმაციო ნიშნულებით; დამატებით ორი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია აღიჭურვება საველე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით; ერთ დაცულ ტერიტორიაზე დასრულდება ტყის ინვენტარიზაცია (დაახლოებით 50 000 ჰა- იან ფართობზე) | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო | | 190.0 | 270.0 | 270.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.2 დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია | * **ყოველწლიურად** დამატებით 3 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყობა ეკოტურისტული და ეკოსაგანმანათლებლო მნიშვნელობის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო | | 200.0 | 300.0 | 350.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.3 დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება | • 2019 წელი: 2017 წელთან შედარებით დაცული ტერიტორიების დამატებით 1 ტერიტორიული ერთეული იმართება მენეჯმენტის გეგმებით.<br>• 2020 წელი: 2019 წელთან შედარებით დაცული ტერიტორიების დამატებით 1 ტერიტორიული ერთეული იმართება მენეჯმენტის გეგმებით | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო | | | | | | აქტივობა განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტისა და დონორების დაფინანსებით. |
| | | 3.1.4 ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობა | *** 2018 წელს**: გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დამატებით მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნება სატყეო-სამეურნეო გზები სიგრძით 65-დან 90 კილომეტრამდე; სოციალური მიზნებით გაიცემა 450 000 კბმ-დან 550 000 კბმ-მდე მერქნული რესურსი (დაახლოებით 75 000 დან 80 000-მდე ბენეფიციარი); კომერციული მიზნით დამზადდება და რეალიზებული იქნება 60 000 კბმ მერქნული რესურსი.<br>*** 2019 წელს:** დამატებით მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნება სატყეო-სამეურნეო გზები სავარაუდო სიგრძით 125 კილომეტრამდე; სოციალური მიზნებით გაიცემა 450 000 კბმ-დან 550 000 კბმ-მდე მერქნული რესურსი (დაახლოებით 75 000 დან 80 000-მდე ბენეფიციარი); კომერციული მიზნით დამზადდება და რეალიზებული იქნება 60 000 კბმ მერქნული რესურსი.<br>*** 2020 წელს:** დამატებით მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნება სატყეო-სამეურნეო გზები სავარაუდო სიგრძით 125 კილომეტრამდე; სოციალური მიზნებით გაიცემა 450 000 კბმ-დან 550 000 კბმ-მდე მერქნული რესურსი (დაახლოებით 75 000 დან 80 000-მდე ბენეფიციარი); კომერციული მიზნით დამზადებული და რეალიზებული იქნება 60 000 კბმ მერქნული რესურსი | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო | | 6,339.0 | 7,400.0 | 7,400.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.5 ტყის მოვლა და აღდგენა | სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე:<br>*** 2018 წელს:** დამატებით 75-100 ჰა-ზე გაშენდება ტყის მასივი; 2017 წელთან შედარებით შესაბამის ფართობებზე 10%-ით შემცირდება მავნებელ დაავადებათა პროგრესირების მაჩვენებელი და 5%-ით გაუმჯობესდება ტყეების სანიტარული მდგომარეობა.<br>*** 2019 წელს**: დამატებით 100 ჰა-ზე გაშენდება ტყის მასივი; 2018 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდება შესაბამის ფართობებზე მავნებელ დაავადებათა პროგრესირების მაჩვენებელი და 5%-ით გაუმჯობესდება ტყეების სანიტარული მდგომარეობა.<br>*** 2020 წელს:** დამატებით 100 ჰა-ზე გაშენდება ტყის მასივი; 2019 წელთან შედარებით შესაბამის ფართობებზე 10%-ით შემცირდება მავნებელ დაავადებათა პროგრესირების მაჩვენებელი და 5%-ით გაუმჯობესდება ტყეების სანიტარული მდგომარეობა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო | | 667.2 | 1,050.0 | 1,100.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3.1.6 ტყის აღრიცხვა და ინვენტარიზაცია | *** 2018 წელს:** დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 2 სატყეო უბნისათვის (ლენტეხი, ახმეტა) - საერთო ფართობით 141.4 ათასი ჰა. საერთო ჯამში განახლებულია ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 29.1%-ზე.<br>*** 2019 წელს:** დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 2 სატყეო უბნისათვის (ცაგერი, ამბროლაური) - საერთო ფართობით132.1 ათასი ჰა. საერთო ჯამში განახლებულია ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 36.4%-ზე;<br>*** 2020 წელს:** დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 2 სატყეო უბნისათვის (მესტია,ონი) - საერთო ფართობით 142.5 ათასი ჰა. საერთო ჯამში განახლებულია ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 44.5 %-ზე | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო | | 771.0 | 850.0 | 850.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.7 ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგის განხორციელება | * **ყოველწლიურად,** წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზრდება დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | 8.4 | 88.0 | 15.5 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.8 გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოების ჩატარება | *** 2018 წელს** დასრულდება ჯვარი-ყაზბეგის გეოლოგიური ფურცლის აგეგმვა;<br>* **2019 წელს** დაიწყება რუსთავის გეოლოგიური ფურცლის აგეგმვა;<br>* **2020 წელს** ა) დასრულდება რუსთავის გეოლოგიური ფურცლის აგეგმვა;<br>ბ) დაიწყება ახმეტა-ლაგოდეხის გეოლოგიური ფურცლის აგეგმვა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | 0.9 | 81.5 | 4.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.9 მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის განხორციელება | * **ყოველწლიურად,** წინა წელთან შედარებით 5 ერთეულით გაიზრდება მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | 85.0 | 120.0 | 122.5 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.1.10 გარემოს დაბინძურების მონიტორინგი | *** 2018 წელს** ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილების რაოდენობა გაიზრდება 158 წერტილიდან 166 წერტილამდე; 45-დან 50-მდე გაიზრდება დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ჩატარდება ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი.<br>*** 2019 წელს** ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილების რაოდენობა გაიზრდება 166 წერტილიდან 171 წერტილამდე; 50-დან 53-მდე გაიზრდება დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ჩატარდება ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი.<br>*** 2020 წელს** ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილების რაოდენობა გაიზრდება 171 წერტილიდან 176 წერტილამდე; 53-დან 55-მდე გაიზრდება დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ჩატარდება ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | 581.0 | 50.0 | 65.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| **3.2** | **ამოცანა 2.** ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა | 3.2.1 მყარი ნარჩენების მართვა | *** 2018 წელს** დაიწყება 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა;<br>*** 2019 წელს** დაიწყება 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა; დაიგეგმება 6 ნაგავსაყრელის დახურვა;<br>*** 2020 წელს** დაიწყება 1 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა; დაიგეგმება 3 ნაგავსაყრელის დახურვა. | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია | | 20,000.0 | 24,000.0 | 22,000.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | მითითებული შესრულების ინდიკატორები 2019-2020 წლებისთვის, შესაძლოა შეიცვალოს 2018 წლის შესრულების დინამიკის გათვალისწინებით. |
| **3.3** | **ამოცანა 3.** კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება | 3.3.1 ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების წარმოება და დაკვირვების ქსელის გაფართოება. | * 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დამატებით 5 ერთეული მეტეოროლოგიური და 4 ერთეული ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურის შეძენა და გამართვა;<br>* 2019 წელს 2018 წელთან შედარებით დამატებით 10 ერთეული მეტეოროლოგიური და 10 ერთეული ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურის შეძენა და გამართვა.<br>-ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების მიზნით - 1 ერთეული აეროლოგიური კომპლექსის შეძენა და გამართვა;<br>* 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით დამატებით 10 ერთეული მეტეოროლოგიური და 10 ერთეული ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურის შეძენა და გამართვა.<br>-ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების მიზნით - 1 ერთეული აეროლოგიური კომპლექსის შეძენა და გამართვა; | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | 342.0 | 1,309.0 | 1,309.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | | 3.3.2 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები | * **2018 წელს** დაზღვეული იქნება დაახლოებით 20 000 სასოფლო-სამეურნეო ჰა<br>*** 2019 წელს** დაზღვეული იქნება დაახლოებით 29 000 სასოფლო-სამეურნეო ჰა<br>* **2020 წელს** დაზღვეული იქნება დაახლოებით 32 000 საოსფლო-სამეურნეო ჰა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო | | 9,000.0 | 13,000.0 | 14,500.0 | სახელმწიფო ბიუჯეტი | |
| | **სულ ბიუჯეტი პრიორ. 3** | | | | | **38,184.5** | **48,518.5** | **47,986.0** | **სულ 2018-2020** | 134,689.0 |
| | სულ ბიუჯეტი | | | | | 558,163.6 | 593,290.5 | 575,291.4 | სულ 2018-2020 | 1,726,745.5 |